

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

24 ივლისი 2019 წელი  
13 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე.

საკატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გელა ჩიკვაძე, ოლეგი მიქელთაძე, რამაზ არველაძე, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის უხუცესი წევრი - გელა ვარდოსანიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გიორგი ივანიაძე

**გადაწყვეტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდა 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილება და შესაბამისად გასწორდა და შემუშავდა სარეზერვოს ფონდის განკარგვის ახალი წესი. კერძოდ;

1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის (შემდგომში - სარეზერვო ფონდი) ხარჯვის მექანიზმს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. სარეზერვო ფონდი იქმნება ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით.

3. სარეზერვო ფონდის მოცულობას განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო და იგი არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2 პროცენტს.

4. დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით სარეზერვო ფონდის მოცულობის გაზრდა.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

**დაადგინეს:**

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი გატანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად

**/დანართი 2/**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გელა ვარდოსანიძე**

**საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის სხდომის უხუცესი წევრი**